ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/382

ქ. თბილისი 20 დეკემბერი, 2011 წელი

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის №2443 განკარგულების შესაბამისად.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „მნ-პროექტი" (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ ლეკვეიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" ბიუჯეტის სახსრებით, ხიდის წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებაზე მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 71322300) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტია „წითელი ხიდი"-ს წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოს ხიდის აზომვითი სამუშაოების განხორციელება, რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი 1 და დანართი 2).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 21000,00 (ოცდაერთი ათასი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფის წევრები: გიორგი გაგოშიძე, ირინე საბაშვილი, გიგლა ჭანუყვაძე.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მიმწოდებელი წინასაპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.2 მიმწოდებლის მიერ საბოლოო პროდუქციის სახით, შემსყიდველისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტაციის მყარი ასლები _ ალბომების სახით (4 ეგზ.) და ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი _ ArchiCad, Auto CAD კომპაქტური დისკების (CD) სახით - 4 ეგზ).

4.3. წინასაპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი _ ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება ერთ ეტაპად მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 3.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ წინასაპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში დოკუმენტაციის ჩაბარების თარიღიდან.

5.3. თუ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.5. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასხდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას. საავანსო თანხის გადახდა მოხდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში არაუგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;

8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული წინასაპროექტო დოკუმენტაცია.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4.3. წინასაპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. გარანტია

12.1. წინასაპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად წინასაპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

12.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას წინასაპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი) შემსყიდველის მიერ შეტყობინებაში მითითებულ ვადაში (არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში).

12.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება მომსახურების გაწევის პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო მომსახურების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2012 წლის 1 მარტის ჩათვლით.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5 სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900 ს/კოდი: 204562311	შპს „მნ-პროექტი“ მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. #18 ს.ს. „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ა/ა № GE04BG0000000195919301 ს/კოდი: 204382248
გენერალური დირექტორი	**დირექტორი**
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი	მალხაზ ლეკვეიშვილი

ტექნიკური დავალება

წითელი ხიდის წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოები

❖ ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. საუკუნეების მანძილზე ჩვენამდე მოღწეული, მძიმე მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ხუროთმოძღვრული თუ სახვითი ხელოვნების ძეგლებისათვის აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. მათ დიდ ნაწილზე არ მოიპოვება ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია, უცნობია დაზიანებების გამომწვევი ფაქტორები და არ შედგენილა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.

წამოჭრილი პრობლემებისა და სწორი მიდგომების კომპლექსური გადაწყვეტისათვის პირველი რიგის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამა თუ იმ ძეგლზე სრული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოპოვება, შემდგომ მათი დამუშავება და პროექტის შედგენა, რაც რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გამოცხადებული ტენდერის ძირითადი მიზანია.

❖ ძეგლის მოკლე აღწერილობა

ქციის (ხრამის) ანუ „წითელი ხიდი" ქართული საინჟინრო აზროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. იგი აგებულია XVII საუკუნის შუა წლებში. ხიდი ოთხ თაღოვან მალზეა გადაჭიმული. ნაგებია ქართული აგურით. ხიდის სავალი ნაწილი ოთხი არათანაბარი მალის თაღებზეა განთავსებული. თაღები შემოსიალია თლილი ქვის კვადრებით. ხიდის საინტერესო თავისებურებას წარმოადგენს ბურჯებში გამოკვეთილი სათავსოები. მარცხენა ნაპირის ჩრდილო-აღმოსავლეთ საყრდენში 2 ოთახია, ხოლო მარჯვენაში – 1 ოთახი. შუა ბურჯში ერთი მცირე ზომის მრგვალი სათავსოა, რომელიც სავალ ნაწილს სპირალური კიბით უკავშირდება.

1964–64 წლებში ხიდს ჩაუტარდა სარეკონსტრუციო სამუშაოები და უკანასკნელ დრომდე დაუბრკოლებლად ატარებდა თანამედროვე მძიმე წონის სატრანსპორტო საშუალებებს.

რამდენიმე წლის წინ ხიდის სამხრეთ–დასავლეთის მხარემ მიიღო დაზიანება, კერძოდ: ჩაინგრა სავალი ნაწილი, რის შედეგად გამოჩნდა გზისქვეშა დარბაზი, რომელიც ოვალური კამარებით უკავშირდება ხიდის სავალი ნაწილის ქვედა სივრცეს. ნაპრალის სიღრმეში ჩანს სხვადასხვა კონსტრუქციული დეტალი: გუმბათის ნაშთი, გვერდითი არხები, რომლებიც აგურითაა ამოყვანილი.

დამკვეთისათვის ჩასაბარებელი სამუშაო განისაზღვრება დოკუმენტაციის შემდეგი შემადგენლობით:

- განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა, გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება);
- საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა – მ. 1:2000 ან 1:1000;
- სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური

დაზიანების ამსახველი ფოტომასალა, (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა – TIFF გაფართოების ფაილი);

- 3D ლაზერული სკანირება არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები; მასშტაბში გამოხაზული ნახაზები – მ. 1:100, 1:50; არქიტექტურული დეტალები – მ. 1:25, 1:20, 1:10; შაბლონები – მ. 1:1; ტექსტური აღწერილობა);
- ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;
- სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნატურაში კვლევის ანალიზი და რეკომენდაციები, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი);

სამუშაოების დასრულების ვადაა 2012 წლის 31 იანვარი

შესრულებული სამუშაო უნდა ჩაბარდეს ოთხ-ოთხ ეგზემპლარად:
– ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG, DXF PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD) კომპაქტური დისკების (CD) სახით;
– მყარი ასლები – ალბომების სახით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფირმა "მნ-პროექტი"
LIMITED LIABILITY COMPANY FIRM "MN-PROJECT" Ltd
GEORGIA
MN PROJECT

წითელი ხიდის აზომვითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

სამუშაოს მოცულობა

ექსტერიერის სამუშაოები

ვერტიკალური ზედაპირები	3040	კვ.მ
ჰორიზონტალური ზედაპირები	1400	კვ.მ
თაღოვანი ზედაპირები	860	კვ.მ
ჯამი	5300	კვ.მ

ინტერიერის სამუშაოები

სათავსო A

იატაკის ფართი	220	კვ.მ
ჭერის ფართი	220	კვ.მ
კედლების ფართი	520	კვ.მ
ჯამი	960	კვ.მ

სათავსო B

იატაკის ფართი	130	კვ.მ
ჭერის ფართი	130	კვ.მ
კედლების ფართი	260	კვ.მ
ჯამი	520	კვ.მ

სათავსო C

ვერტ. ზედაპირების ფართი	190	კვ.მ
ჰორიზ. ზედაპირების ფართი	30	კვ.მ
ჯამი	220	კვ.მ

ს უ ლ 7000 კვ.მ X 3 ლარი 21000,00 ლარი

საერთო ჯამი 21000 ლარი

წითელი ხიდის აზომვითი სამუშაოების სამუშაო პერიოდი

სამუშაო პერიოდი შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.

დირექტორი: მალხაზ ლეკვეიშვილი